№ 114 ივნისი 2, შაბათი [illegible] 1890 [illegible] ივნისი 2, შაბათი № 114

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „**ივერია**“ პირველის ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან. და 50 კაპ.

Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული
ლექსიკონი
დ. ჩუბინაშვილისა
ფასი 2 მან.

ირული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

ქართული თეატრი

(როსსის წარმოდგენები)
შაბათს, 2 ივნისს,
კინი
კომედია 4 მოქ ედ. და 5 სურ., თხზ. ა. დიუმასი
კინის როლს როსსი შეასრულებს.
კვირას, 3 ივნისს,
მაკბეტი
ტრაგედია 5 მოქმედ., თხზ. შექსპირისა
მაკბეტის როლს როსსი შეასრულებს.
დასაწყისი 8 საათზედ.

დაკვეთილი ბილეთები დილის 12 საათამდე შეინახება. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში დილის 10—2½ საათამდე და საღამოს 4½ საათიდგან წარმოდგენის გათავებამდე. ლიბრეტოები: ფრანგულსა, იტალიანურსა და რუსულს ენაზე ისყიდება თეატრის კასსაშივე.

თეატრის ადმინისტრაცია მაყურებელ ქალებსა სთხოვს, რომ პარტერში შლაპები მოიხადონ.

ადმინისტრატორი **ფორკატტი**

განცხადება

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა.

(იხილე მე-4 გვერდზედ)

ახალი ამბავი

* * * მაისის გასულს ჩვენ ტფილისს უბედურება ეწვია. ჯერ 29-ს დიდი ნიაღვარი მოვარდა და დასეტყვა ტფილისის ბაღები, რომლის პატრონებსაც ოთხი ათას თუმანზე მეტი ზარალი მოუვიდათ. ჯერ ეს უბედურება არ მოენელებინათ ტფილისელებს, რომ გუშინ-წინ, მაისის 31, პირველზე უფრო უარესი უბედურობა ეწვიათ. გუშინ-წინ მამა დავითის კლდისაკენ მეორე საათზე გამოჩნდა შავი ღრუბელი, რომელიც თანდათან დიდდებოდა და ნაშუადღევს ორ საათზე ღრუბლებით მოიფინა ცა. ორ საათზე და 20 წუთზე, როგორც ტფილისის ობსერვატორიაში ჩაუწერიათ, მოისმა პირველი ქუხილი, და ოც-და-ხუთის წუთის შემდეგ დაიწყო საშინელი წვიმა. ათის წუთის შემდეგ დაუშვა სეტყვამ, რომელიც თერთმეტი წუთი გადაუღებლად მოდიოდა. თითო სეტყვა თხილზე პატარა არ იყო და ზოგიერთა სეტყვა კაკლის ოდენაც იქნებოდა. სეტყვამ გადაიარა ვერიდგან სოლოლაკზე, შუა ბაზარზე და ავლაბარზე. წვიმამ გადაიღო 3 საათზე და 25 წუთზე. დღისით ორ საათზე ოც-და-ხუთი გრადუსი სითბო იყო, მხოლოდ სეტყვის დროს უცბად აციედა და სითბო ათ გრადუსამდე იკლო, რადგანაც გარშემო მთებზე და ქუჩებში დიდ-ძალი სეტყვა მოიფინა, ისე რომ მრავალნი ნიჩბებით ხვეტავდნენ. სეტყვამ დიდი ზარალი მისცა ჩვენს ბაღებს და ბოსტნეულობას. ბაღებში ხეხილს სულ დააყრევინა ხილი და მრავალი ძვირფასი ყვავილები დალეწა. ქუჩები სულ მოფენილი იყო ხეების ფოთლებით და ტოტებით. ზოგიერთს ალაგას შეგროვილი სეტყვა ღამის პირველ საათამდე არ დადნა, მაგალითად, გოლოვინის პროსპექტზე, «კრუჟოკის» ახლოს. ღამე მრავალნი ზამთრის ტანისამოსით დაიარებოდნენ. ნიაღვრების გამო მრავალ ქუჩებზე ეტლების და კონკის მოძრაობა შესწყდა, რადგანაც ნიაღვარს მოჰქონდა დიდი ძალი შლამი, ქვიშა, ქვები. ფანჯარები მრავალი დაიმტვრა. ზარალი სამოც ათას მანათზე მეტი მოუვიდა ტფილისს ამ რამდენისამე საათის განმავლობაში.

* * * გუშინ-წინ, 31 მაისს, კადეტის კორპუსში გათავდა ეგზამენები მეშვიდე კლასში. სულ გაუთავებია წელს კურსი 42 შეგირდს. მათში ქართველები ცხრა არის. აი მათი გვარი და სახელები: გიგო ვაჩნაძე, დათა ვაჩნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დავით ვურამიშვილი, იოსებ გედევანოვი, სტეფანე ჩხეიძე, ივანე თუმანოვი, გიორგი ჯემარჯიძე და ალექსანდრე კობიაშვილი. კურს შესრულებულნი შვიდს ამ თთვეს ბანაკად წავლენ ფეხით მანგლისში, სადაც დაჰყოფენ ერთ თვემდის, შემდეგ წავლენ თავ-თავიანთ სახლებში დედმამის სანახავად და ოც აგვისტოს გაემგზავრებიან მოსკოვს და პეტერბურგს სხვა-და-სხვა სამხედრო სასწავლებლებში სწავლის დასამთავრებლად.

* * * ჩვენს რესტორანებსა და ტრაქტირებში, თუმცა აკრძალულია, მაგრამ მაინც არ იშლიან ბანქოს თამაშობას. სხვათა შორის ბანქოს თამაშობა პოლიციამ შეამჩნია „გურიის“ რესტორანში. ამ საქმის გამო ოქმი შეადგინა და სამართალს მისცა რესტორანის პატრონი. ეს საქმე მაისის 30 გაირჩა და მომრიგებელმა მოსამართლემ დაადგინა, რესტორანის პატრონს ბ-ნ ხუნდაძეს გადახდეს ჯარიმა ფულად ხუთი თუმანიო.

* * * მიხეილის ქუჩაზე გუშინ, საღამოს, შვიდ საათზე, ცოტა-გასწყდა უბედურება არ დატრიალდა. მუშტაიდის მხარეს მდიოდა კონკის ვაგონი, რომელშიაც სხვათა შორის იჯდა ვიღაცა სიმენსი. როდესაც ამ ვაგონს მეორე მუშტაიდიდგან მომავალი ვაგონი დაუახლოვდა, ბ-ნი სიმენსი ადგა და უნდოდა მეორე ვაგონში გადამჯდარიყო, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და ორ-ვაგონ შუა ჩავარდა. ორივე ვაგონი მაშინვე დააყენეს და სიმენსი ვაგონ ქვემოდგან ამოიყვანეს. სიმენსმა მარჯვენა ფეხი იღრძო.

* * * გაზ. „თეატრის“ ხელის მო-

ფელეტონი

მეფე ერეკლე

(ერეკლეს მოღვაწეობა)

I

ერეკლეს ცხოვრების სრულად და უნაკლულოდ გამოკვლევა ფრიად ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ ამ მეფის დღეგრძელი ცხოვრება მეტად რთული საგანია და ამას გარდა საკმაო მასალაც არ დაშთენილა საზოგადოდ წარსულის საუკუნის ისტორიის აღსადგენად და, მაშასადამე, თვით ერეკლეს ისტორიის გამოსახატავად. ეჭვიკი არა გვაქვს, რომ ამ დროის შესახები მასალა ბლომად მოიპოვება ჯერ ჯერობით გამოუკვლეველს გუჯარსიგელებში, სახელმწიფო დავთრებსა, არქეოლოგიურ ნაშთებსა და უცხოელთ უმაღლესს კარის სამდივნოებში, მაგალითად სპარსეთისა, რუსეთისა, რომისა და სხვ. აგრეთვე სხვა-და-სხვა მონასტრების წიგნთ-საცავებში, ჩვენის თავად-აზნაურთა და სამღვდელოთა სახლებში და სხვ. ყველა ამ მასალას ნათელი რომ მოეფინება, მაშინ, ცხადია, ერეკლეს ისტორიაც სავსებით თვალ-წინ წარმოგვიდგება.

ხოლო დღეს რა მასალაც ხელთა გვაქვს, იმიდანაც ცხადად ვხედავთ, რომ ერეკლე ყოფილა დაუღალავი მხედარი, უებრო მეომარი, ჩინებული სარდალი და რაინდი.

ხოლო რაიც შეეხება მეორე მხარეს ერეკლეს ისტორიისას, ე. ი. მის შინაურ გამგეობას სახელმწიფოსას, მის მიერ ქვეყნის მოურნეობას,—მასალიდამ სჩანს, რომ ამ მხრივაც ერეკლეს თვისი შრომა და ძალ ღონე არ დაუშურებია ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის.

უპირველეს ღვაწლად ამ მხრივ მეფე ერეკლეს უნდა ჩაეთვალოს ზრუნვა ქვეყნის გაერთიანებისათვის. ერეკლემ ბევრი იბრძოლა, მრავალი ტანჯვა-მწუხარება გამოიარა, მანამ ქართლ-კახეთს სრულიად გააერთიანებდა. ჩვენ ვიცით, რა ძლიერი მომხრეები ჰყვანდნენ ვახტანგ მეფის მემკვიდრეებს ქართლში და რა რიგ მეცადინეობდნენ იგინი ქართლში ისევ ვახტანგის შთამომავლობა გაემეფებინათ. თეიმურაზის მეფობას ქართლის მებატონეები უარ-ჰყოფდნენ და თუ ეს მეფე ქართლში სისხლ დაუღვრელად გაბატონდა, ეს უნდა მიეწერებოდეს ვახტანგის ასულს თამარს: ამ ჩინებულმა დედაკაცმა დაიყოლია ქართლელნი, რომ ქართლის ტახტზე დამჯდარიყო თეიმურაზი. ამის საბუთები ხომ ზევითაც მოვიხსენეთ.

თუმცა თეიმურაზი ქართლში გაბატონდა და ამ ქვეყნის მებატონენი შეირიგა, მაგრამ მაინც მათ შორის საუკუნოდ არ დაიხშო იმედი თვისის საქმის გამობრუნებისა. ამ იმედის მოსარჩლენი იყვნენ ამილახვრები, ქსნისა და არაგვის ერისთავნი, ვახტანგის უკანონო შვილი პაატა და, შესაძლებელია, თვით კათოლიკოსი ანტონიც, რომელიც იყო ვახტანგის ძმის წული. ყველა ამათ მეფეები თუმცა მეგობრულად ეპყრობოდნენ, მაგრამ მათ ყოფა-ქცევას დიდის სიფრთხილით, ეჭვით ეკიდებოდნენ. ჩვენ გვგონია, რომ ამ ეჭვსაც არა მცირე მონაწილეობა ჰქონდა იმ გარემოებაში, როდესაც ანტონს გაფრანგება ბრალად დასდევს და საქართველოდგან განაძევეს (1755 წელს).

ანტონის გაძევებას და შემდეგ ქართლის მეფის თეიმურაზის გარდაცვლას (1762 წელს) ქართლის დამოუკიდებლობის მეძიებელთათვის ფრთები უნდა შეესხა. ასრეც მოჰხდა. პირველი შეთქმულობა მოახდინეს 1765 წელს, მაგრამ შეთქმულთ ძვირად დაუჯდათ ერეკლეს წინააღმდეგობა.

შეთქმულთა შორის ერია ვახტანგის ძე პაატა და იესეს (ვახტანგის ძმა იესე-მუსტაფა ფაშა) ძის აბდულაბეგის ძე დავით. ბროსე სწერს, რომ პაატას ცხოვრებამ აღელვებულად და ტრაგიკულად განვლო. იგი ჯერ წავიდა რუსეთს, სადა შევიდა არტილერიის სკოლაში. შემდეგ მამის გარდაცვალებისა, (ვახტანგი გარდაიცვალა 1737 წ.) იგი იდუმალად წავიდა ევროპაში, იქიდგან კონსტანტინეპოლს მივიდა და შემდეგ საქართველოში მოახწია 1751 წელს. პაატა კეთილად მიიღეს ერეკლემ და თეიმურაზმა. აქ რამდენიმე ხანი დაჰყო და მერე განილტო იმერეთს და იქიდგან სპარსეთს მივიდა. 1765 წ. შეთქმულობა მოახდინა ერეკლეს წინააღმდეგ, მიიმხრო რამდენიმე დიდებული კაცნი, მათ შორის თვისი ბიძაშვილი დავითი, იესე მეფის ძის აბდულაბეგის შვილი. ერეკლემ შეთქმულნი შეიპყრო და, სამღვდელო და ერთგულ მოყმეთა საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ, მოაკლევინა პაატაც და დავითიც [1].

ამ პაატას შესახებ პაპუნას მოჰყავს (ქართლის ცხოვრება გვ. 439) შემდეგი ცნობა: „მოვიდა პაატა ბატონიშვილი, ძე მეფისა ვახტანგისა, ხარჯა, სტამბოლით. რუსეთს სასწავლოში ყოფილიყო. ესწავლა არტილერია, საქმე თოფხანისა. მეფე ვახტანგ რომ მიცვალებულიყო, რუსეთს აღარ დამდგარიყო. იქიდამ გაპარვით წასულიყო, საფრანგეთის ქვეყანა მოევლო, სტამბოლს მისულიყო. და იქიდამ მოვიდა ქალაქსა თბილისსა. ნახა მეფემ თეიმურაზ და მეფემ ერეკლემ. ვითარცა ბიძა იყო მეფის ერეკლესი და მისცეს პატივი. დააყენეს ძინჩევით ქალაქში. ქორონიკონს უმ (1752 [2]).

1753 წელს განჯაში გაილაშქრეს მეფეებმა. „პაატა ბატონიშვილი დაიბარეს განჯაში წასაყოლად, არ წავიდა, დაიჭირეს და ქალაქსა შინა დააპატიმრესო, ამბობს პაპუნა (გვ. 439).

განჯაში მეფეები რომ დამარცხდნენ და ქალაქში დაბრუნდნენ, ერეკლემ, პაპუნასავე თქმით (გვ. 442), „აუშვა პაატა ბატონიშვილი, კახეთს წაიყვანა, ამყოფა პატივით. გამოეპარა კახეთიდამ, გარდავიდა იმერეთს, შეეხვეწა აბაშიძე ლევანს“.

პაატას სიცოცხლის ბოლო უკვე ვიცით.

პაატას წინად ქართლის დაპყრობა უნდოდა მეფე იესეს შვილს აბდულა ბეგს. იგი სამშვილდეში სცხოვრებდა მეფეების თანხმობით. ნადირშაჰმ რომ ქართლ-კახეთს დიდი ხარკი და ახრება შემოუთვალა და უბედურების ასაცილებლად თეიმურაზი ისპაანს წავიდა, აბდულა ბეგმა მიიბირა ზოგიერთი თავადები, მიიმხრო ტფილისის ციხის ჯარის უფროსი დუბახანი, მოიშველია ამირ ასლან-ხანი და ტფილისისაკენ წამოვიდა, მაგრამ ერეკლემ ეს ჯარი დაამარცხა და განაბნია (ბუტკოვი, ტ. I, გვ. 236) აბდულა-ბეგის ამბავს პაპუნა უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს.

შემდეგ ამისა ერეკლე უფრო ეჭვიანი შეიქმნა. მით უმეტეს, რომ ახლა ქართლის ტახტს ახალი მეძიებელი გამოჩნდა. ეს იყო ბაქარის ძე ალექსანდრე. მაშასადამე, თავის მამის გარდაცვლის შემდეგ ამ სამეფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე. 1762 წ. იგი იზმაილის პოლკის გვარდიის პოლკოვნიკად ითვლებოდა. ალექსანდრე რუსეთიდამ მოიყვანეს ყიზლარს 2 მაისს 1766 წელს და მიანებეს თავი. ალექსანდრე წავიდა სპარსეთს ქარიმ-ხანთან, რომელმაც მეგობრულად მიიღო. ალექსანდრე სპარსელებს დაჰპირდა, რომ საქართველოს ისევ დაგიმორჩილებთო. მისმა მეცადინეობამ გასჭრა. ქარიმხანმა დაღისტნელებს შეუთვალა (1777 წ.) საქართველოს დასაპყრობად მიშველება გილანის გედათ-ხანისათვის. ამასობაში საქმე გაჭიანურდა. იმერეთის მეფეს სოლომონს ერეკლესთან თუმცა მეგობრობა ჰქონდა, მაგრამ იდუმალად მტრობდა. მიიწვია ალექსანდრე. ანტონ კათოლიკოსმა ალექსანდრეს მხარი დაიჭირა, აგრეთვე ქართლის ზოგიერთმა თავადებმაც. ერეკლემ ყოველივე ეს

---

[1] იხ. Descrip. geogr. de la géorg-ის introduction, p. III.

[2] ბროსეს სიტყვით-კი 1751 წ. იხ. ზემოდ.

მწერთაგან მოგვდის წერილები, რომ გაზეთი დაეიკვეთეთ, სრული ფასი გარდავიხადეთ მთელის წლისა და ახლა გაზეთი აღარ მოგვდისო. სულ 12—14 ნომერი მოგვივიდაო. გვეკითხებიან, რა ამბავია ესაო და გვთხოვენ, დაბეჭდეთ ჩვენი წერილებიო. ჩვენ არ შეგვიძლიან ამოდენის წერილების ბეჭდვა, რადგან ამისათვის ჯერ ალაგი არა გვაქვს და მერე ვგონებთ, არავისთვის სასიამოვნო არ უნდა იყოს ასეთის, სულ ერთგვარის წერილების კითხვა. ჩვენ ჩვენის მხრით ვსთხოვთ გაზ. „თეატრის" რედაქციას, აუწყოს თავის ხელის-მომწერთ გაზეთის გარემოება და მით ჩვენც გაგვანთავისუფლოს ზემოხსენებულის წერილების კითხვისაგან.

⁂ გუშინ, 27 მაისს, საათის ცხრა იქნებოდა საღამოსი, ხატის სოფლელი მეხრეები შეყრილიყვნენ ერთად: ვანო ადამაშვილი, მიხა თათამაზაშვილი, მიხა პეტრიაშვილი და სხვები, დაეძლოთ საქონელი, მოერეკნათ სოფლის სიახლოვეს, რადგან შეშინებოდათ, ვაი თუ, შორს რომ დავყაროთ საქონელი, გაგვიჩნდეს ვინმეო, და აქ სოფელთან მოესვენებინათ როგორც საქონელი, ისე თავიანთი თავი. წაეთვლიმათ თუ არა, მაშინვე, პირველ ძილის დროსვე წაჰპაროდნენ თათრები და ერთის იმათგანის მიხა პეტრიაშვილისთვის დაეკრათ გულში „თოფი" მარცხენა ძუძუსთან და იქვე გაეფრთხობინებინათ სული. ამ საქმის გამო სასტიკი გამოძიებაა დანიშნული.

⁂ ოთხშაბათს რიყეზე, ღამით, პოლიციელს დაუნახავს უფარნო ეტლი და, თუმცა შიგ ექიმი მჯდარიყო, მეეტლე პასაჟირითურთ პოლიციაში წაუყვანია. ეტლი მალე გაუნთავისუფლებიათ, და ამის შესახებ პოლიცმეისტერს უბძანებია, რომ პოლიციელს არავითარი ნება არა აქვს, პოლიციაში წაიყვანოს ეტლი შიგ მჯდომის კაცითო. მხოლოდ ნომერი უნდა ჩაიწეროს და წარადგინოს, საცა ჯერ არსო.

⁂ გაზ. „ახალ მიმოხილვას" მისვლია ს. მ. არწრუნის რეფერატი, პატარა წიგნაკად გამოსული, მხითარ გოშას „სამართლის" შესახებ. ეს ის სამართალია, რომელიც ვახტანგ მეფემ თავის სამართლის წიგნში ჩაურთო.

⁂ ნიაღვარმა ჩამოლეკა მიწა ბელაგურსა და მარელისს შუა და შეაჩერა ტვირთის-მზიდავ მატარებლების სიარული (ახ. მიმ).

⁂ სახელმწიფო საბჭოს გადაუწყვეტია, რომ სოხუმის ოლქის ქრისტიან აფხაზებს 1890 წლის 1 იანვრიდგან დაწყებული, ვიდრე განსაკუთრებული განკარგულება არ მოხდება, სამხედრო ბეგრის მაგივრად ფული გადახდესთო. 1890 და 1891 წლებში ვალდებულნი იქმნებიან გადიხადონ ხუთი ათას ოთხას ორმოცი მანათი (Прав. Вѣст.)

⁂ მაისის 31 პოლიციის მეორე ნაწილში, დილის 6 საათზე. შეიპყრეს ტფილისის მცხოვრებლის შვილი მიხეილ შევჩენკო, რომელმაც სხვა-და-სხვა დროს ხუთასი მანათის სალირალი პაპიროსი მოჰპარა ნახიჩევნის მცხოვრებელს ბაგდანა ბახტიევს. დაკარგულის პაპიროსის რამდენიმე ნაწილი იპოვნეს. ამ საქმის გამო ოქმი შეადგინეს და გამომძიებელს უნდა გადასცენ.

⁂ ამავე დღეს პოლიციის მეოთხე ნაწილში, ამაღლების ქუჩაზე, ყალამქაროვის სახლში, აზნ. მარკსას დუშეთის მაზრის მცხოვრებელმა გლეხმა თანდილა ბუჭუკურიძე მოჰპარა სამი ვერცხლის ჩაის კოვზი, ღირებული 6 მანათად. ქურდი ნაქურდალითურთ შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. დიხაზურგა (სამურზაყანო), 30 აპრილი. მკითხველთ უკვე მოეხსენებათ, რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებში, რომელიც-კი გურიასა, აფხაზეთსა, სამურზაყანოსა, სვანეთში და ახალციხის მაზრაში იმყოფება, ამ წლის 1 მარტიდგან დაინიშნა მ. არქიმანდრიტი ამბროსი (კაკაბაძე) ინსპექტორად და მისიონერადაც ამავე მხარეებში. მ. არქიმანდრიტი ამბროსი თავის თანამდებობის აღსრულებას წმ. აღდგომის მეორე დღიდგანვე შეუდგა. განიხილა აფხაზეთის თითქმის ყველა რათიმე შესანიშნავი დაბა-სოფელი და მონასტერი, მაგალითად: სოხუმი, სიმხა (ახალი ათონი), გუდაუთა, ლიხანი, სადაც ახალი სკოლა დაარსა, ფიჩუნდა და სხ. ამ ალაგებში და მრავალგან სხვაგანაც იგი ჰმოძღვრებდა და ჰქადაგებდა. მამა არქიმანდრიტმა დიდი ყურადღება მიიქცია ყოველის საზოგადოებისა, სადაც-კი იყო, და რამდენიმე სიტყვა სთქვა იმის შესახებ, თუ რა ძალას შეადგენს ქრისტიანობრივი სარწმუნოება და სწავლა-განათლება კაცობრიობის ზნეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესობისათვის.

აფხაზეთიდგან ოჩამჩირეს გზით მ. არქიმანდრიტი ამბროსი შემოვიდა სამურზაყანოში და 27 აპრილს გაემგზავრა პირდაპირ დ. ოქუმში, აქ სკოლა განიხილა და მესამე დღეს თავის აქ მყოფობისას, კვირას, სწირა და უქადაგა ეკკლესიაში ხალხს, რომელსაც ძლიან ესიამოვნა მისის ქადაგების მოსმენა. კვირას, ნაშუადღევს, მ. არხიმანდრიტი ამბროსი სოფ. დიხაზურგაში მოვიდა. ამ სოფლის სკოლა, ოქუმის სკოლის შემდეგ, მეორე შესანიშნავ სასწავლებლად ითვლება მთელს სამურზაყანოში. ეს სკოლა დაათვალიერა მამა ამბროსიმ, მაგრამ არა გვგონია-კი მოსწონებოდა. უმთავრესი მისი ნაკლულევანება ის იყო, რომ რუსულსა და ქართულს ენაში მოწაფენი კოჭლობდნენ. ამისი მიზეზი ის არის, რომ უწინდელნი მასწავლებელნი რასაც რუსულად აკითხებდნენ მოსწავლეთ, რუსულადვე არ უხსნიდნენ თურმე, მხოლოდ უთარგმნიდნენ მეგრულად და მეგრულადვე ჰკითხავდნენ გაკვეთილს. არითმეტიკიდგანაც მეგრულად ჰკითხავდნენ და მეგრულადვე ათქმევინებდნენ პასუხს: ერთის სიტყვით, მოსწავლენი რუსულს ენაზე სწავლობდნენ ისევ მეგრულს. ქართულს არც-კი გაახსენებდნენ, თუმცა ამ ენას შეუდარებლივ უფრო ადვილად ითვისებენ მოსწავლენი, ვიდრე რუსულსა და სხვა ენას, და ამიტომაც ამ ენით უფრო ადვილია ბავშის ჩაგონება და გასალისება. მ. ამბროსი სკოლაში ყოფნის დროს ნათლად დარწმუნდა, რომ სამურზაყანოში დიდად საჭიროა ქართული ენა, რომელსაც აქამომდე აქ არა ჰქონდა ყურადღება მიქცეული. ამას ამტკიცებს მთელი ლექსიკონი მეგრულის სიტყვებისა, რომლის თითქმის ერთი ნახევარიც ნამდვილს ქართულს სიტყვებს შეადგენს და მეორე ნახევარს-კი ძირი და ფესვი ისევე ქართულივე აქვს. გამოთქმით ისევ ზმნები არა ჰგავს ქართულს და ამიტომაც ქართველს მეგრული არ ესმის. ქართულის ენის სწავლება მით უმეტეს დაინახა საჭიროდ მ. ამბროსიმ, რომ ამათ, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, არა აქვთ თავის ენაზედ მწიგნობრობა და ამიტომაც ღვთის მსახურება და ყველა ეკკლესიის წესი მათ შორის მარტო ქართულს ენაზედ სრულდება. ამიტომ თქმა აღარ უნდა, დიდის პატივის ცემის ღირსნი არიან ისინი, რომელნიც შრომას არ დაზოგავენ, სამშობლო ენას აღუდგენენ ამ განაპირებულსა და მივარდნილად მყოფს ქართველებს.

სასწავლებლების დათვალიერების დროს მ. ამბროსიმ სამურზაყანოში ყველა მასწავლებელი ვალდებული გახადა, რომ ქართული აუცილებლად ასწავლეთო. მიზეზი დიხაზურგის სკოლის შეგირდების სწავლაში სისუსტისა სხვათა შორის ისიც იყო, რომ ოთხი თვეე მასწავლებელი არა ჰყავდათ (ნოემბრის ნახევრიდგან მარტის ნახევრამდე). საღამოს ოთხ საათზედ მ. არქიმანდრიტის ბრძანებით სუდია-მამასახლისმა სკოლასთან შეჰყარა მთელი სოფელი. აქ მ. ამბროსიმ მთარგმნელის პირით სოფლელებს აუხსნა ყოველი მიზეზი მათის ცუდის ყოფა-ქცევისა და ჩვეულებისა და აგრეთვე იმისაც, რომ თქვენში სარწმუნოება მკვიდრად ვერ იკიდებს ფეხსა და შეიწროვებულია ათასის ცრუმორწმუნეობის წყალობითაო. რაღა თქმა უნდა, ეს მიზეზი უსწავლელობაა, უცოდნელობაა.

რადგანაც ეს სკოლა აქამომდე შეკეთებასა და განახლებას ჰსაჭიროებს, ამიტომ მ. ამბროსიმ ჩააგონა ხალხს, რომ ერთგულად მოეკიდეთ მაგ სკოლის საქმესო. თქვენთვის მთავრობა იმდენს ჰზრუნველობს, რომ გიგზავნით მასწავლებლებს და წიგნებს, თქვენც თქვენის მხრით შეასწორეთ სკოლის ოთახები და ხელი შეუწყეთ თქვენის შვილების სწავლის საქმესაო. მ. ამბროსის სიტყვების მოსმენით ნასიამოვნებმა ხალხმა

გაიგო. განრისხდა, მოღალატენი საშინლად დასაჯა (ბუტკოვი, ტ. II, გვ. 115). ბუტკოვისავე თქმით, ანტონი ციხიდამ ჩამოაგდეს.

ერეკლეს დიდ-მოწინააღმდეგეთაგანი იყვნენ ამილახვრები. ამათ ალექსანდრეს მხარე ეჭირათ. ერთი ამილახვართაგანი, ალექსანდრე 1771 წ. განივლტო რუსეთს და იქ შეადგინა წიგნი „Исторія георгіанская о юношѣ князѣ Амилахваровѣ" (ეს წიგნი დაიბეჭდა პეტერბურგს 1779 წ.) ამ წიგნში იგი აღწერს, თუ ვითარ სასტიკად მოეპყრო ერეკლე ამილახვრებსა და სხვათა. თაქთაქიშვილი დასწვაო, ამილახვარს ფეხის ძარღვები დააჭრაო და სხ. საზოგადოდ ამ წიგნში ერეკლე გამოყვანილია სასტიკ, შეუბრალებელ ხელმწიფედ, დესპოტად, ხოლო მეფის ძე გიორგი ცამდის ქებულია.

1781 წ. ალექსანდრე ბაქარის ძემ ოსმალის ჯარით დიდი შეწუხება მიაყენა ერეკლეს, მაგრამ მაინც ვერას გახდა. რისგამო ალექსანდრე 8 კაცითურთ რაჭიდამ ყაბარდოში და იქიდამ თერგს შამხალ ყაზბულატთან მივიდა. ყაბარდოელნი, ოსნი და ლეკნი მიიბირა. მერე წავიდა დარუბანდის ხან ფათალიხანთან (1782 წ.), თან ახლდა ალექსანდრე ამილახვარი, ავტორი ზემორე ხსენებულ წიგნისა. ბოლოს მათის მოგზაურობიდამ არა გამოვიდა-რა, რადგან ალექსანდრე ბაქარის ძე რუსის მთავრობამ სმოლენსკში წაიყვანა (1784 წ.). და ამილახვარი წარგზავნა ვიბორგში (1784 წ.)

ამ გვარად ერეკლემ სრულიად დაამცირა ქართლის ტახტის მეძიებელნი და მოიშორა თავიდამ.

ამათზე არა უმცირეს ქვეყნის ძლიერებისა და ერთობისათვის მავნენი იყვნენ ქსნისა და არაგვის ერისთავები, რომელნიც მეფეთა სისუსტისა გამო უაღრესად გაძლიერებულიყვნენ და ცოტა-ღა უკლდათ, რომ ესენიც, მიხედვისამებრ სვანეთისა, აფხაზეთისა, სამეგრელოსი, გურიისა და სამცხის განდგომილ და გამთავრებულ ერისთავებისა, განდგომილიყვნენ და თვისი გამთავრება გამოეცხადებინათ. მაგრამ ერეკლემ აღარ დააცადა. 1777 წელს ბოლო მოუღო მათს ძლიერებას, და ერისთაობა მოსპო და არაგვის და ქსნის ხეობანი შეუერთა თავის სამეფოს.

ამ გვარად მეფემ აღადგინა და გააერთიანა ქართლ-კახეთი.

II

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მარადჟამ ებრძოდა თავის შინაურსა და გარეშე მტრებს და მუდამ ბრძოლაში და ომში იყო, მაინც სახელმწიფოს შინაურ საქმეებსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. იგი ერთი იმ მეფეთაგანი იყო, რომელსაც უყვარდა, წარჩინებული და ქვეყნისათვის თავდადებული კაცები გარსა ჰხვეოდა. ანტონი ქათოლიკოსი, სოლომონ ლეონიძე და მრავალნი სხვანი მხარში უდგნენ და მეფის რჩევით ილვწიან ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის. ეკკლესია და განათლება ერეკლემ ჩააბარა ანტონ ქათალიკოსს და საზოგადოდ სამღვდელოებას; სამართალი იმ დროსთვის დიდად განათლებულ სოლომონ ლეონიძეს, რომელიც იყო მსაჯულთ-უხუცესი; სარდლობა ორბელიანს; და ამ გვარად თოფხანისა, ზარაფხანისა და სახელმწიფოს სხვა საქმენიც სხვა-და-სხვა გამოცდილ და მცოდნე კაცებს მიაჩემა. თუმცა სახელმწიფოს მოურნეობა ასრე გაანაწილა და დაავალა წარჩინებულ კაცებს, მაგრამ თვითონაც უქმად არ დარჩა. მან თავისთვის დაიტოვა ყველაზე უძნელესი და უდიდესი შრომა. უმაღლესი ზედამხედველობა სახელმწიფოს ყოველ საქმეში, სარდლობაა იგი, თუ ხალხის განათლება და მართლ-მსაჯულობა, ანუ ეკკლესიის წარმართვა. ამას სხვა და სხვა საბუთთა გარდა ცხადად გვიჩვენებს თვით ბუტკოვის მოწმობა; რომ ერეკლეს მარტოს ეპყრა ხელში სახელმწიფოს შენობის საზრისი, სახელმწიფოს მოსამართავი და კვალში ჩასაგდებელი საქმე, რომ იგი მუდამ ზრუნავდა თვის ერში ევროპიული წეს-წყობილობა და განათლება შემოეღოო, ამასვე მოწმობს ლეონიძე, რომელიც ერეკლეზე ამბობს: „თავი გამგებელი ერისა იყოვო, ყოველთათვის საზოგადო მამა, მხნე მამა, ქვეყნის სიმდიდრე, ძლიერთა ძალი, ბრძენთა გონიერება, ერთა გვირგვინი, მხედართ მთავარი, სახელმწიფო ზრდილობის საუნჯე, ობოლთა მზრდელი, მტერთა მომკვრებელი მკლავი, შრომის მოყვარე გვამი, სიამაყე და დიდება ქართველთა, თავ-ზარ დამცემი სპარსთა, ოსმალთა და კავკასიის ერთა, კაცი, რომლის ხელმწიფური ქცევა ყოველს ქართულს ოჯახში შეიქმნა სადიდებელი, რომლის სადღეგრძელოდ ყოველს ოჯახში მრავალჟამ ისმოდა სადღეგრძელო საგალობელი, რომლის ტახტზე ჯდომით საქართველო ყველა წინა საუკუნეზე უფრო „იდიდა, უფრო ამაღლდა, უფრო გაბედნიერდაო". ერეკლეს მეოხებით საქართველო იდიდა, ისე რომ, როგორც იგივ ლეონიძე ამბობს, „ცანი ქუხილით გრგვინვიდენ ძალსა ამ საქართველოსასა, ხოლო ქვეყნისა ძრწოდა ფერხთა ქვეშე მისსა".

ამ გვარმა კაცმა, მისმა სამაგალითო შრომამ მოიყიდა გული ქართველის ერისა და განუღვიძა უკეთესის მერმისის იმედი. თუშ ფშავ ხევსურნი, რომელნიც ერთ დროს კიდეც აუჯანყდნენ[3] ერეკლესა, ახლა შეიქმნენ მისი უნჯნი ყმანი, ახლა უერეკლეოდ ცხოვრება ცხოვრებად აღარ მიაჩნდათ, პირ იქით იწვევენ ურთიერთს ერთად მეფესთან სალხინოდ იგინი, აღტაცებულნი ერეკლეს დიდებით, შეჰღაღადებენ ერთმანეთს: „ძმანო, დავსხდეთ, დავიწყოთ ღრეობა, უყვარდის ჩვენნი მღერანი".

ზნეობრივი გავლენა მეფე ერეკლესი ძლიერი იყო არა თუ მარტო საქართველოში, არამედ შორეულ ქვეყნებშიაც. ერეკლეს მეოხებით თვით საქართველოსაც სახელი, პატივი მოემატა მეზობელთა შორის. ამას კარგად ჰგრძნობდნენ არა მარტო საქართველოს განაწილებული სამეფო-სამთავროები, არამედ მთიულნიც. ესა სჩანს, მაგალითად, ლეკთა წერილიდამ, რომელიც ერეკლეს მოსწერეს დაღისტნის ბიჯითისა და ხიშერხის საზოგადოებიდგან და მეგობრობა და მშვიდობა შემოუთვალეს. ერეკლეს სწერენ, რომ „შენი დიდება გავრცელდა ხალხში შენის მართლ-მოყვარეობითა და მოწყალებითაო. საუკუნოჰყოს ღმერთმა შენი სამეფოო. აღგისრულოს-ცა ყოველი წადილი და მისწრაფება ამიერიდგან უკუნისამდე. ვინც ჩვენგან მშვიდობას დაარღვევს და შენ წინააღმდეგ იმოქმედებს დიდად დაისჯებაო.[4]

III

რაც შეეხება თვით განდგომილ იმერეთის სამეფოსა და სამეგრელო-გურიის სამთავროებს, იგინიც სცდილობენ ერეკლეს დამეგობრებას. თუ დავუჯერებთ პ. იოსელიანს, ეს სურვილი იქამდე აღფრთოვანდა, რომ 1790 წ. ქართლ-კახეთ-იმერეთი და სამეგრელო-გურია დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და თვის შორის მეგობრული ზავი დასდვეს. ტრაქტატი ამ ზავისა დაიდვა ტფილისს. ეს ტრაქტატი[5] შედგება ექვსის მუხლისგან დაიწყება ამ სიტყვებით: „ვინადგან ყოველთავე ივერიელთა (ქართლ-კახთა, იმერთა, ოდიშთა და გურულთა) აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, სისხლით ნათესავნი... ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულ ივერიისა ქვეყანათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოისა ამის პირობისა, აღვსთქვამთ მტკიცესა ამას

---

[3] პაპუნა ორბელიანის ისტორია, გვ. 429.

[4] იხ. Акты арх. ком. ტ. I, გვ. 77.

[5] ტრაქტატი იოსელიანს მეფე გიორგის მწერლის, შემდეგში რუსეთში ელჩად წარგზავნილ, ალექსანდრე ონიკოვის ქაღალდებში უპოვნია.

სკოლის განახლება იგისრა და გამოაცხადა, რომ თუ აქამდე დავაგვიანეთ მაგ შენობის შეკეთება, ამისი მიზეზი ოთხის თვით უმასწავლებლოდ დარჩენაა, იმას უნდა ეჩვენებინა, რაც-კი შესაკეთებელი იყოვო.

სოფ. დიხაზურგაში მოვიდა გენერალი თავ. ზ. ინქოტუა და მ. ამბროსი მიიწვია ს. საბერიოში, რომელიც შვიდის ვერსის მანძილზედ მდებარეობს ამ სოფლიდგან. საქმე იმაში გახლავთ, რომ საბერიოელებს ჰქონიათ სკოლა, მაგრამ იგი $187^{7}/_{8}$ წწ. ომის დროს გაუქმებულა, რადგან ყური არავის უგდია. სკოლის მეტად დაძველებული შენობაც ნელ-ნელა ერთიანად დაქცეულა. თავადმა თავის სახლში თავის სოფლელების მხრივაც და თავის მხრივაც სთხოვა მ. ამბროსის, რომ იშუამდგომლეთ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების წინაშე ამ გაუქმებულ საბერიოს სკოლის კვლავ აღდგენაო. ამას გარდა საბერიოს თავადები (შარვაშიძეები და ჩქოტუეები საბერიოში 50 ზედ მეტი კომლია) და მთელი საზოგადოება დაჰპირდნენ, რომ ახალს სასკოლო შენობასაც მალე ავაგებთო. მ. არქიმანდრიტი ამბროსი რა-კი დარწმუნდა, რომ ყველანი არიან მოსურნენი სკოლის გახსნისაო (ს. საბერიოში 700 მდე მოსახლეა), აღუთქვა შუამდგომლობა ზემოხსენებულ საზოგადოების წინაშე. ს. საბერიოდგან მ. ამბროსი წაბრძანდა ზუგდიდითა და სენაკით 2 მაისს ოზურგეთში, სადაც ერთს კვირას დარჩება და შემდეგ ახალციხისკენ გაემგზავრება.

ბ. ბარნაბიშვილი

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში შემდეგი შენიშვნა: გორის ოთხ კლასიან საქალაქო სასწავლებელში, როგორადაც მრავალ სხვა სკოლებშიაც, არის საზოგადოება, დაარსებული 1881 წ., რომელსაც აზრად აქვს ზემოხსენებულ სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დახმარება.

ამ ბოლოს დროს მეტის მეტად იკლო ამ საზოგადოების წევრთა რიცხვმა. ამასთანავე იკლო, რასაკვირველია, შეწეობის სახსარმაც. ამიტომ საზოგადოების გამგე კომიტეტმა, რადგან მოვალეა იზრუნოს ღარიბ მოსწავლე ბავშვებისათვის, რომელთ რიცხვი მთელის შეგირდების სამ მეოთხედს შეადგენს თითქმის, მოიწვია წევრნი საზოგადოებისა და სთხოვა, აღმოეჩინათ როგორმე სახსარი საზოგადოების შემოსავლისა.

წევრთა საზოგადო კრებამ აირჩია ასამდე ახალი წევრნი და სთხოვა მიეღოთ ეს წოდება.

ამ გარდაწყვეტილების შეტყობინება საზოგადო კრებამ დაავალა თავის ხაზინადარს, მასწავლებელს ივ. ზაქ. ტერ-სტეფანოვს.

თითქმის ყველა არჩეულმა წევრმა, ვინც კი შეიტყო, სიამოვნებით მიიღო წოდება ზემოხსენებულ საზოგადოების წევრობისა.

თუმცა ეს არჩევანი მოხდა ამ წინაზე ამ წლის 26 აპრილს, მაინც კარგა ბლომად შეუგროვდა საზოგადოებას ფული, შემოტანილი სხვა-და-სხვა პატივცემულ კაცთაგან ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ, რისთვისაც გამგე კომიტეტი საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის ქვემოდ დასახელებულთა:

მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პალლადის, რომელმაც შემოსწირა 10 მან.

მის ყოვლად უსამღვდელოესობას გორის ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომელმაც შემოსწირა 50 მან.

მის ბრწყინვალებას ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლს თ. ივანე კონსტანტინეს ძეს მუხრან ბატონს, რომელიც შემოსწირა 50 მან.

ალფრედ იაგორის ძეს ზუზმანს, რომელმაც შემოსწირა საზოგადოებას ფიცრები და სხვა მასალა, ღირებული არა ნაკლებ 400 მან.

პოლკოვნიკ ივანე ბესარიონის ძე საგინოვს 60 მან., დავით ზაქარის ძე სარაჯიშვილს 50 მან., გიორგი დავითის ძეს ქართველიშვილს 50 მან., დავით იოსების ძე ალელოვს 50 მან., ივანე დავითის ძე ხუდადოვს 50 მან., ლეონ სოლომონის ძე უზნაძეს 50 მან., სამსონ გიორგის ძე ლიპაცკის 50 მან., ლუკა მიხეილის ძე ანანიევს 50 მან., გრიგოლ მარონის ძე ამიროვს 50 მან., რობერტ ივანეს ძე ლენცს 30 მან., კონსტანტინე ანდრიას ძე კლიმოვსკის 10 მან., ლევან იაკობის ძე მღებროვს 10 მან., ალექსანდრე გიორგის ძე ჩიკოიძეს 10 მან., ალექსანდრე ვლადიმირის ძე ზამკოვოის 10 მან., რობერტ თევდორეს ძე ბეტიერს 10 მან., ედუარდ ივანეს ძე შტალბერგს 10 მან., და კულა გლდანელს, რომელიც ჰმართავს საზოგადოების სასარგებლოდ ორჯელ ჭიდაობას: ერთხელ გორში კვირას, 3 თიბათვეს, და მეორეჯერ ტფილისში.

გორის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი
ტ. მამალაძე

◆◆

წვრილი ამბები

ჟურნალ „Schribner's“-ში ფრიად საინტერესო წერილია გამოჩენილის მოგზაურისა და გამომკვლევლის სტენლისა. ავტორი მოგვითხრობს მონების სყიდვა-გასყიდვის ამბავს შუა აფრიკაში. არაბთა გუნდნი დაეცემიან ხოლმე შავკანიან მკვიდრთ, მრავალსა ჰხოცვენ, იგლებენ, ვისაც შრომა და ნადირობა შეუძლია, ერთად შეჰკრავენ, წაიყვანენ და მონებად ჰყიდიან. ქალებს, ბავშვებს და მოხუცებულებს-კი, როდესაც ასე უღვთოდ გამოჰგლეჯენ ხელიდგან და სამუდამოდ წაართმევენ მათს მრჩენელთ, უმწეოდ, მხეცების ამარა სტოვებენ. მონებს ჰყიდულობენ სპილოების საჭრად, რადგანაც სპილოს ძვალი ერთობ ძვირად ისყიდება ევროპაში. ამიტომაო, ამბობს სტენლი, როცა-კი ჩვენის ლამაზისა და პრანწია ქალების ქოჩორში სპილოს ძვლის სავარცხელს ან ჩხირს დავინახავ, ჩემს დონეზე ველარ ვდგები და გულზე ცეცხლი მომდება ხოლმე; ასე მგონია, მართლა მონათა ვაჭარს ანუ კაცის მკვლელს ვხედავ-მეთქი; მაგრამ ასეთი ჩემი გულის ამღვრევა სამართლიანი გულის-ამღვრევა არის: დიაღ, ყოველი ქალი, ვინც-კი სპილოს ძვალს ატარებს, ყოველი ბილიარდის მოთამაშე და სპილოს ძვლის მყიდველი კაცთა-მკვლელია და მონათ მოვაჭრეო: ერთის გირვანქა სპილოს ძვლისათვის მთელი ერთი ოჯახი: ქმარი, ცოლი და შვილი გამოუსალმებიათ ამ წუთის-სოფლისათვის; სპილოს ორის კბილისათვის მთელი სოფელი აუკლიათ და ოცის კბილის გულისთვის-კი მთელი ერთი ქვეყანა აუოხრებიათ და მოუსალასინებიათ კაციან-მცენარიანა. მთელი შუა აფრიკაო, ამბობს ავტორი, უდაბნოდ შეიქმნა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ბილიარდის თამაში შეგვყვარებიაო.

მონათა სყიდვა-გაყიდვა ჩვენის საზოგადოების ამაოებისა და გარყვნილის გემოვნებისაგან წარმოსდგა. ამიტომაო, განაგრძობს სტენლი, ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, უნდა აილაგმოს ასეთის მავნებელის „მოდის“ შემოღება და საჭიროა, გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, პორტუგალიამ, კონგოს სახელმწიფომ, სამხრეთმა და ჩრდილო ამერიკამ პირი შეჰკრან და სასტიკად აღკრძალონ სპილოს ძვლის შემოტანა თავიანთ ქვეყნებში და სამფლობელოებშიო.

— პასტერის ინსტიტუტში ამ ოთხის წლის განმავლობაში 7,893 ცოფიან ცხოველებისაგან დაკბენილ კაცისათვის აუცრიათ ცოფი. 672 კაცი ყოფილა თავ-პირში დაკბენილი და იმათში აცრის შემდეგ მხოლოდ 15 მომკვდარა, 4387 დაკბენილში 29 მომკვდარა და დანარჩენ 2832 ში მხოლოდ 9; დანარჩენები კი ყველა მორჩენილა. აქედგან სჩანს, რომ თავ-პირში დაკბენილი უფრო ძნელი მოსარჩენი ყოფილა, მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ მაშინვე აიცრა ცოფი, ისიც უთუოდ მორჩებაო.

— აფრიკიდგან დაბრუნებულს ერთს ბელგიელს უამბნია გაზ. „La Patrie“ს კორესპონდენტისათვის კონგოელების კაცის-მჭამელობის ამბავი. წელიწადში თურმე ექსჯერ დაერევიან ხოლმე აუარებელი მკვიდრთა თემები ერთმანეთს, ჰხოცვენ და თან იქვე აჰკეპენ და სჭამენ ახლად მოკლულებს.

◆◆

დეპეშა

31 მაისი

პეტერბურგი. ნება დართულია, ისევ გამოიცეს გაზეთი „Южанинъ“, რომელიც 24 მარტს იქმნა შეჩერებული მთავრობის განკარგულებისამებრ.

საჯაროდ გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი გზათა საინჟინერო ინსტიტუტის წესდებისა და შტატის შესახებ. როგორც წესდება, ისე შტატები 1 ივნისიდგან შემოღებულ იქმნება. ნახევარის წლის სწავლის გადასახადი იქმნება 50 მანათი. ამ წელს

ერთობასა“. ამ ტრაქტატზე ხელი უწერიათ ერეკლეს, დარეჯანს, კათოლიკოსს ანტონს, სოლომონ ლეონიძეს, მეფე სოლომონს, იმერეთის დედოფალ მარიამს და აგრეთვე მთავრებს, მღვდელ მთავრებს და მოხელეთა. ტრაქტატი გამოაცხადეს ყველგან საქართველოში.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ერეკლე უფრო მხნედ ერევა იმერეთის საქმეებში. ჯერ თეიმურაზის დროსვე ქართლ-კახეთის მეფენი შეეწივნენ ტახტიდგან ჩამოგდებულ და განძევებულ მამია გურიელს და ტახტი ისევ დაუბრუნეს. ამ გვარივე შველა ერეკლემ აღმოუჩინა გრიგოლ დადიანს და იმერეთის მეფე სოლომონიც-კი თეითონვე თავის სურვილისამებრ დასვა იმერეთის ტახტზე.

1721 წ. იმერეთში გამეფდა ალექსანდრე. მისი დრო ფრიად აღშფოთებული დრო იყო. მეფეს, გარეშე მტერთ გარდა, მრავალი შინაური მტერიც ჰყავნდა. დადიანი, გურიელი, რაჭის ერისთავი წერეთელი, თავადი აბაშიძე და თვით მისი დედინაცვალი თამარიც-კი მოსვენებას არ აძლევდნენ. ალექსანდრემ დედინაცვალი მოაკვლევინა. სხვა მტრების მოსაგერებლად ოსმალეთის ჯარი ჩააყენა ბაღდადსა და ქუთაისში, სადაც ბაგრატის დიდი სობორო ოსმალთ სათოფხანედ მოიხმარეს. როდესაც ეს ოსმალთ ჯარები არა ჰყოფნიდა ალექსანდრეს, მრავლად ლეკთაც იქირავებდა ხოლმე. ეს ლეკნი შველის მაგიერ ხშირად უოხრებდნენ ქვეყანას და ურბევდნენ. ამ ყოფაში ჩავარდნილი იმერეთი სრულიად გალარიბდა. მწუხარებამ მეფე ალექსანდრე თან გადაიტანა 1752 წ. გამეფდა მისი უფროსი ვაჟი სოლომონ I, რომელიც დაუმეგობრდა ყველა მთავრებს და ერეკლესაც. მაგრამ შემდეგ რამდენისამე ხანისა სოლომონს ისევ აეშალნენ მთავარნი და მტრებმა განაძევეს იგი. სოლომონმა ისევ ოსმალებს მიჰმართა, მოიყვანა ურჯულოთა ჯარი, მტრები დაამარცხა და ტახტი ისევ დაიბრუნა. ერეკლესთანაც ცოტა არ იყოს, სოლომონი კარგად ვერ იყო, რადგან მასთან თავი შეიფარეს სოლომონის მოწინააღმდეგეთა. მაგ. მისმა ურჩმა შვილმა ალექსანდრემ, ძმამ არჩილმა, და ბიძაშვილმა დავით გიორგის ძემ, რომლსაც სოლომონმა ჩამოართვა მისი საუფლისწულო მამული. ყველანი ერეკლეს ხარჯით იკვებებოდნენ ტფილისში. ამას გარდა არჩილმა ცოლად შეირთო ერეკლეს შვილის შვილი. ამ გარემოებისა გამო სოლომონი, თუმცა აშკარად ერეკლესთან მეგობრობდა, მაგრამ ფარულად-კი მისი მტერი იყო. ხოლო სოლომონის შვილი ალექსანდრე და მამა არჩილი რომ გარდაიცვალნენ, სოლომონი ისევ ერეკლეს გულითადი მეგობარი შეიქმნა (1783 წლიდამ). მაგრამ მეგობრობა ველარ გამოიყენა. 1784 წ. 23 აპრილს გარდაიცვალა უმემკვიდროდ.

ამ გარემოებას ხელი ჩასჭიდა ერეკლემ. იმერეთის სულ ერთიანად შემოერთება ერეკლემ მოხერხებულად არა სცნო. მაგიერად მოინდომა, რომ იქ გაემეფებინა თავისი შვილი შვილის ძე დავითი (სოლომონის გარდაცვლილ ძმის არჩილის წული). ამ საგანზე სოლომონის სიცოცხლეშივე მოლაპარაკება ჰქონოდა ერეკლეს და დაეთანხმებინა კიდეც. ამ დროს დავით არჩილის ძე 12 წლისა იყო, ხოლო მეორე დავითი, სოლომონის ბიძაშვილი, მეფე გიორგის წული დავითივე 29 წლისა. ეს უკანასკნელი სოლომონის სიკვდილის შემდეგ უკვე დაბრუნებულიყო თავის საუფლისწულოში. იმერეთშივე წარვიდნენ აგრეთვე იმერეთის კათოლიკოსი მაქსიმე და პოლკოვნიკი ბურნაშევი. სარდალმა პაპუნა წერეთელმა მეფედ გამოაცხადა დავით გიორგის ძე. დავითი, რომელიც იყო სარდლის წერეთლის სიძე, ტახტზე ავიდა და რუსეთის ხელმწიფეს გაუგზავნა ელჩები (კათოლიკოსი მაქსიმე და სხვანი) სათხოვნელად მფარველობისა და შემწეობისა. დავითს პოტემკინისაგან მოუვიდა 4,000 ბაჯაღლო. მაგრამ მალე მეფე დავითს უთანხმოება მოუვიდა სარდალ წერეთელთან და წულუკიძესთან, რომელნიც 500 ლეკითა და 1,000 ოსმალის ჯარით 1786 წ. შევიდნენ იმერეთს. მაგრამ მეფემ დაამარცხა და განაბნია მტერნი.[6])

ერეკლე ახლა-კი შეუდგა საქმეს. დავით არჩილის ძის გამეფება მოინდომა. ახალციხის ფაშამ ეს არ მოიწადინა და იმავ დავით მეფის მხარე დაიჭირა. ერეკლემ ოსმალების წინააღმდეგ წარგზავნა თვისი მხედრობა თავის შვილი-შვილის დავითის (ეს იყო უფროსი ვაჟი გიორგი მე-XIII ისა) წინამძღოლობით. დავითი შევიდა ოსმალეთის სამფლობელოში, ძლევა მოსილად მივიდა ყარსამდე, აიღო ციხეები ინჯადარისა, ქომუშლისა, ფოლდერვანისა, დაატყვევა 15,000 კაცამდე და მშვიდობით დაბრუნდა. შემდეგ ამისა ერეკლემვე იგივე დავითი თავისის მხედრობით წარგზავნა იმერეთს. დავითმა დაამარცხა მეფე იმერეთისა დავით გიორგის ძე და ტახტზე აღიყვანა დავით არჩილის ძე, რომელიც იწოდა სოლომონ მეორედ. დავით გიორგის ძე-კი ახალციხეს განილტო (1790 წ.) და სოლომონსა და ერეკლეს შემოჰფიცა, რომ ჩემთვის მყუდროდ ვიცხოვრებო.

მაგრამ მალე საქმე სხვანაირად დატრიალდა. განძევებულმა დავითმა მიიმხრო დადიანი გრიგოლ, გურიელი, იმერეთიდამ განძევებული აბაშიძე (რომელიც 1785 წ. ოსმალებმა იმერეთის მეფედ გამოაცხადეს) და ახალციხის ფაშა—მეფე სოლომონის მოსაკლავად. გაუგო სოლომონმა. დადიანმა შემოჰფიცა, რომ შენი ერთგული ვარო. მაგრამ მალე ფიცი გატეხა და მეფეს შემოება. იძლია დადიანი და აფხაზეთს განილტო, ხოლო მისი მომხრე დავით გიორგის ძე ისევ ახალციხეს წავიდა. სოლომონ მეფემ დადიანობა გრიგოლს ჩამოართვა და მის უმცროს ძმას მანუჩარს მიუბოძა.

მტრები მაინც არ დასცხრნენ. გრიგოლ დადიანი, გურიელი და დავით დიდ-ძალის ჯარით შეესივნენ იმერეთს. მიიშველიეს აფხაზთა, ოსმალთა და ლეკთა ჯარებიც. მაგრამ სოლომონმა ისევ სძლია გრიგოლს და აფხაზეთს წარაქცია. ამასობაში დავით მეფეს ერეკლემ თავის შვილის ალექსანდრეს წინამძღოლობით ჯარი მიაშველა. 1794 წელს დამარცხდნენ გურიელნი და დავით გრიგოლის ძე და განილტნენ. სოლომონმა ამ ომში მრავალი მტერი გასწყვიტა და 250 ლეკიც დაატყვევა.

გრიგოლ დადიანი დადიანობის ჩამორთმევის შემდეგ ხან ფოთში სცხოვრობდა, ხან აფხაზეთში. აქედგან ერეკლეს ხშირად უგზავნიდა თავის მოძღვარს, რომ მასთვის ისევ დაებრუნებინა სამეგრელო და დადიანად დაემტკიცებინა. ერეკლემ ბოლოს შეისმინა ვედრება. წარგზავნა იმერეთს ბატონიშვილი იოანე, რომ დაიყოლიოს მეფე სოლომონი. სოლომონიც დათანხმდა,—თუმცა მანუჩარი ამის წინააღმდეგი იყო. გრიგოლი ისევ მიებოძა დადიანობა. მეფე სოლომონმა გრიგოლის და შეირთო, ხოლო გრიგოლ დადიანმა ერეკლეს შვილის გიორგის ასული ნინა[7]).

ამ სახით ჩვენა ვხედავთ, რომ ერეკლეს მეოხებით დიდებულის თამარის დროის საქართველოს შეერთებისა და გაერთიანების საქმე წარმატების გზას დასდგომოდა, საკუთილო კვალში ჩავარდნილიყო. ჩვენთვის სულ ერთია, ეს გაერთიანება როდის მოხდებოდა. აზრი უკვე სუფევდა და ხალხში ტრიალებდა. ერეკლეს დროს თუ არ განხორციელდა, სხვა დროს განხორციელდებოდა.

---

[6]) ალბათ ამ დროს მოხდა ის ამბავი, რომელსაც მოგვითხრობს პ. იოსელიანი გიორგი მეფის ცხოვრებაში (გვ. 18), რომ იმერეთიდამ მოვიდნენ დესპანნი: ევთიმი გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთ-ხუცესი ზურაბ წერეთელი და სხვანი და სთხოვეს ერეკლეს იმერეთი შეიერთეო.

[7]) ყველა ეს ამბები მოთხრობილია ბუტკოვის წიგნში. იხ. ტ. II, გვ. 280—286.

მეორე და მესამე კურსზე იმ წესით იქმნება მიღება, როგორც 1883 წლის 25 მარტის ბძანებაშია მოხსენებული. სასწავლო კურსი ხუთს წლიურ კურსად განიყოფება.

წარდგენილია განსახილველად პროექტი ახალის დებულებისა მცირე-წლოვანთა დასჯის შესახებ.

წარდგენილია დასამტკიცებლად წესდება კერძო ტყეების დაცვისა. ამ წესდებით უნდა დაცულ იქმნას ის ტყეები, რომლის დაცვასაც-კი საჭიროდ მიიჩნევენ, იმ წესითვე, რა წესითაც სახელმწიფო ტყეებს იცავენ.

პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაამართლა პასტორი ნერლინგი, რომელსაც რეველის სასამართლომ გადაუწყვიტა ერთის წლით დაპატიმრება, რადგანაც მართლ მადიდებელთ სარწმუნოება თავის უცოდინარობის გამო ჰგმო.

„С.-Пет. Вѣд.“ იუწყება, რომ წარდგენილია იმის პროექტი, თუ რა საშუალება იხმარონ ცხენის-ქურდობის მოსასპობლად. პროექტში, სხვათა შორის, არის მოხსენებული, რომ ბოშებს უნდა აეკრძალოთ წანწალი, ცხენის პატრონს პოლიციის მოწმობა უნდა ჰქონდეს, რომ ცხენი იმას ეკუთვნის, და, ვინც ამ გვარ მოწმობას ვერ წარმოადგენს, ყველას უნდა აეკრძალოს ცხენის გაყიდვაო.

სოფია. გუშინ სამივე ბრალდებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა. თავის მხრივ სამხედრო ბრალმდებელმა მარკოვმა, რომელიც პანიცისა და ხოლოპკოვის შესახებ დადგენილის გარდაწყვეტილების თანახმა არ იყო, უმაღლეს სამხედრო სასამართლოში გამოაცხადა, რომ წინააღმდეგი ვარ ამ გარდაწყვეტილებისაო. უმაღლესი სამხედრო სასამართლო იმ კვირეს შეუდგება ამ საქმის ხელ-მეორედ განხილვას.

1 ივნისი

ხარკოვი, ვოლსკი და სარატოვი. წვიმა მოვიდა, მინდვრებს ძალიან უჭირდა.

სტავროპოლი (კავკასიისა) აქ მოვიდა ექიმი კაარსბერგი, გამოგზავნილი დანიის მართებლობისაგან კალმიკების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად ეტნოგრაფიულად და ფიზიოლოგიურად.

პარიჟი. გენერალი ანნენკოვი მალე წავა შვეიცარიაში გასასინჯად რკინის გზის ლიანდაგისა სენ-გოტტარზე და პილატზე. გენერალი ანნენკოვი გასინჯავს აგრეთვე ჰიდრაულიკურ შენობებს ჟენევაში და შავგაუზენში.

პეტერბურგის ბირჟა, 29 მაისი.

	მყიდველთა.		გამყიდველთა.		გაყიდულია.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	—	„		„	6	94
ტამოყნის კუპონები	—	„		„	139	
მანეთიანი ვერცხლის ფული	—	„	—	„	1,	08½
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	„	—	„	231¼	
—მეორისა	—	„	—	„	213¼	
—მესამისა	212		—	„	211¾	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	—	„		„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

ვიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადასწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის-მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ
შეიძინა
ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ
ახლად დაარსებულ
«ქართველთა ამხანაგობის»
წიგნის მაღაზიაში
(ლორის მელიქოვის ქუჩა)
დაბადება და აღზრდა
მეფე ერეკლესი
ლეგენდა ლექსად ბაჩანასი
ფასი 15 კაპ.
(6—4)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

	მან.	კაპ.
ძმა ძმის მტერი, მოთხრობა წითლიძისა	„	10 კ.
უბის წიგნი, ეალ. გუნიასი 1890 წ.	„	40
თვით მასწავლებელი ბიაშვილისა	„	45
პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით	„	25
წმინდა ნინო	„	2
ტაძრად მიყვანება ღვთის მშობლისა	„	2
ესთერი	„	5
დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, დ. ღამბაშიძისა	„	30
ბექანიანი	„	15
ძეგლის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„	25
განკიცხული ა. მოჩხუბარიძისა	„	60

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (ძარღვის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2. სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—4)

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა

1890 წლს მარტის 17 თანახმად რუსეთის კანონდებულების მე-XI ტომის II ნაწ. 65 67, 68, 76, 79, 81, 83 და 84 მუხლთა, დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“ პირობა ამხანაგობისა უკვე დამტკიცებულია, საწევრო თანხა (პაი) ღირს 50 მან. და შეიძლება მისი შემოტანა განაწილებით. წევრი მიიღების, თანახმად ამხანაგობის პირობისა, კენჭის ყრით, ამხანაგობამ შეიძინა წიგნის მაღაზია გრ. ნარკვიანისა და რ. ფანცხავასი. მსურველთ შეუძლიანთ ამხანაგობის პირობა ნახონ წიგნის მაღაზიაში, ან ქალაქ გარეშე მცხოვრებთ დაიბარონ თავიანთ ხარჯით. ამხანაგობა არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს, თუ საპასუხოდ ფოსტის მარკები არ მოიღო. ამასთანავე ამხანაგობა აცხადებს, რომ წიგნები ისყიდება ნაღდ ფულზე და ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ეგზავნებათ მყიდველის ხარჯით. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი გამოცემები მიანდონ ამხანაგობას მაღაზიაში გასასყიდად. საკომისიო მიღებულ წიგნებში ამხანაგობა გამომცემელთ აძლევს კვიტანციას. გაყიდულ გამოცემის ფული მსურველთ დაუცილებლად ეძლევათ თხოვნის მეორე დღეს. ვისაც რაიმე ნაწერები აქვს გამოსაცემი და სურს გარდასცეს ამხანაგობას,—ვთხოვთ მიჰმართოს ამხანაგობის გამგეობას. მიღებული ნაწერები გარდაეცემა განსახილველად სარედაქციო კომისიას, რომლის მიერ მოწონებულ ნაწერებს დაბეჭდავს ამხანაგობა და გამოაცხადებს გაზეთ „ივერიაში“. ამასთანავე ამხანაგობა კისრულობს ნაწერების დაბეჭდვას გამომცემლის ხარჯით, ხოლო შრომის ფასად იღებს რედაქციისა და კორრექტურისათვის გამოცემაზე დახარჯულ ფულიდგან 15%.

ადრესი ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის: Тифлисъ, правленію „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова, грузинскій книжн. магазинъ. (7—6)

კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ
ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს
სულიაკის სააბატოში (GIRONDE)
ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ
და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული
ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.
(208—16)

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის

არყენის ხის ბალზამი დ-რის ლენგილიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად ერთ აგენტის გასილ აურიხისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩაზედ, 18—19.

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოეს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ლილი-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ვ. გრიგნაკთან, გ. ა პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.
(19—8)

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 1-го Іюня 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე